შეხედე სურათს. როგორია ბიჭის გემი?

ბიჭი და გემი

გიგას სათამაშო გემი აქვს. გემი ლამაზია. დილით გიგა სკოლაში მიდის. ჩანთაში აწყობს კალამს, სამ წიგნსა და სამ რვეულს. გიგას სკოლაში გემი არ მიაქვს.

გიგა სკოლიდან სახლში მიდის. გიგას ხმა ესმის. ეს გემის ხმაა.

გიგა ჩერდება და ზღვას უყურებს. გიგა ხედავს გემს. გემი თეთრია. გემის სახელია „დილა“. გემზე მეზღვაურები არიან.

გიგას მამაც მეზღვაურია. მისი გემის სახელია „ივერია“.

გიგას მამა სახლში არ არის. მისი გემი ახლა ზღვაშია.



როგორია გემი „დილა”?

ტექსტის გაგება

1 რის შესახებ არის საუბარი ტექსტში?

ა) გიგას ლამაზი სკოლის შესახებ.

ბ) გიგას მეზღვაური მამის შესახებ.

გ) გიგას საყვარელი წიგნის შესახებ.

2 საიდან მოდის და სად მიდის გიგა?

ა) სახლიდან სკოლაში. ბ) მაღაზიიდან სახლში. გ) სკოლიდან სახლში.

3 რა <u>არ არის</u> გიგას ჩანთაში?

ა) ლურჯი კალამი. ბ) სათამაშო გემი. გ) სამი წიგნი.

4 რა ჰქვია გემს, რომელსაც გიგა ხედავს?

ა) „საღამო“. ბ) „დილა“. გ) „ივერია“.

5 სად არის ახლა გიას მამა?

ა) სახლში. ბ) სკოლაში. გ) ზღვაში.

6 მონიშნე „კი“ ან „არა“.

№	წინადადება	კი	არა
1.	გიგას მამა ახლა ზღვაშია.		
2.	გიგას მამა მასწავლებელია.		
3.	გიგა ზღვაში ხედავს თეთრ გემს.		
4.	გიგას მამის გემს ჰქვია „დილა“.		

▶▶▶ ლექსიკა

1 მეზღვაური არის ადამიანი:

ა) რომელიც გემზე მუშაობს.

ბ) რომელიც ზღვას უყურებს.

გ) რომელსაც უყვარს ზღვა.

2 რომელია ზედმეტი სიტყვა?

ა) კალამი. ბ) რვეული. გ) ჩანთა. დ) წიგნი.

2 დაასრულე წინადადება.

გიგას სათამაშო გემი დიდია, ჩანთა კი – გემზე ----------.

.

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად დაწერე სიტყვები.

1. გიგა სკოლიდან (სახლი) _____ მიდის.
2. გიგას მამის გემი არის (ზღვა) _____ .

2 შეარჩიე საჭირო სიტყვები.

1. გემზე მეზღვაურები _____ .

   ა) არის. ბ) ხარ. გ) არიან.

2. _____ ხმა ესმის.

   ა) გიგა. ბ) გიგამ. გ) გიგას.

გრამატიკა

3 დაასრულე წინადადება.

ნიმუში: გიგა ზღვას უყურებს. *მე ზღვას ვუყურებ.*

1. გიგა გემს ხატავს. მე გემს _____ .
2. გიგა სკოლაში მიდის. მე სკოლაში _____ .
3. გიგას ჩანთა მიაქვს. მე ჩანთა _____ .

4 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

ჩანთაშიარისსამი_____ *(წიგნი/წიგნები)* დასამი_____

(რვეულები / რვეული).

წერა

რომელი ნივთი გიყვარს ყველაზე ძალიან და რატომ? აღწერე და დახატე ეს ნივთები.

_____

_____

_____

_____

_____

_____